



25 დეკემბერი, 2023 წ.

**ბრძანება N01-10/141**

ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შესასრულებელი შრომის საათობრივი ანაზღაურების ოდენობის (ტარიფის) განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „ბსუ-ს დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის „პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი“-ს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 5 ოქტომბრის N02 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 21 ნოემბრის N01-08/169 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის მადონა მიქელაძის 2023 წლის 25 დეკემბრის N1758314 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე:

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მოწვეული პროფესიული განათლების მასწავლებლის 1 საათის შრომის ანაზღაურების ოდენობა (ტარიფი) 2024 წლის 1 იანვრიდან განისაზღვროს 18 ლარით.
2. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი „ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მოწვეული პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის საათობრივი ანაზღაურების ოდენობის (ტარიფის) განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 11 ოქტომბრის N01-11/92 ბრძანება.
3. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), იურიდიულ დეპარტამენტს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

მერაბ დიასამიძე